სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

ბრძანება

30/09/2025

MES 0 25 0000008082

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-17 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. სამსახურებრივ მივლინებაში საქართველოს ტერიტორიაზე გაგზავნილი დასაქმებულის სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად. ხოლო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავარობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად.";

ბ) მე-17 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. დასაქმებულის სამსახურებრივი მივლინებისას ივსება სამივლინებო მოწმობა (დანართი №1), გარდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისა. სამივლინებო მოწმობის

შევსების ვალდებულება არ ვრცელდება სამსახურის უფროსსა და უფროსის მოადგილეებზე. სა მივლინებო მოწმობის შევსებას კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული სამმართველო.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
მაჭარაშვილი პავლე